

დასაბრუნებელი მოწმობა წარმოადგენს უცხოეთიდან საქართველოში დასაბრუნებელ ღრობით სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ თქვენს სამგზავრო დოკუმენტს გაუვიდა მოქმედების ვადა, დაკარგეთ, დაგიზიანდათ ან არ ფლობთ მას.

სრულწლოვანი პირისათვის საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- საკონსულოში ვიზიტის დასანიშნად ან დასაბრუნებელი მოწმობის ფოსტით მისაღებად გთხოვთ მოახდინოთ ელექტრონული განაცხადის რეგისტრაცია. საფოსტო გზავნილის შემთხვევაში მომსახურების მიღების ფორმად მიუთითეთ "საფოსტო გზავნილი";
- [განცხადება-ანკეტა](#) (განცხადება-ანკეტა შევსებული უნდა იყოს სრულყოფილად თითოეულ პუნქტში მითითებული კითხვის შესაბამისად და ხელმოწერილი);
- პასპორტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მანი ორდერი (Money Order) - 35 აშშ დოლარის ოდენობით;
- 1 ცალი ფოტო სურათი (ზომა 3X4 სმ);

დასაბრუნებელი მოწმობის მისაღებად საჭირო გემოაღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ წარმოადგინოთ საკონსულოში პირადად ან გამოაგზავნოთ ფოსტით. დოკუმენტების ფოსტით გამოგზავნის შემთხვევაში საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილ იქნას უკან გამოსაგზავნი ფოსტის კონვერტი თქვენს მიერ შევსებული მისამართითა და საჭირო ოდენობის საფოსტო მარკებით. გაითვალისწინეთ, რომ საფოსტო მომსახურების სარგებლობის შემთხვევაში, გაცემული დასაბრუნებელი მოწმობა დაგიბრუნდებათ მხოლოდ თქვენს მიერ გამოგზავნილ საფოსტო კონვერტით.

მომსახურება შეიძლება გაეწიოს საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის, პირებს, რომელთაც უდგინდებათ საქართველოს მოქალაქეობა; საქართველოში სტაგუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს; საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს; პირადობის ნეიგრალური მოწმობის ან/და ნეიგრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირებს.